

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-4 მუხლის პირველ პუნქტში შეტანილ იქნას შემდეგი დამატებები:

ა) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ა¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ა¹) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სარჩელზე და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე – საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მხარისათვის მიკუთვნებული ნიუთის (თანხის) ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარს, ხოლო, თუ, ნიუთის ღირებულების დადგენა შეუძლებელია – 300 ლარს;“;

ბ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „თ¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

თ¹) არბიტრაჟის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე – საარბიტრაჟო დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარს, ხოლო, თუ, საარბიტრაჟო დავის საგნის ღირებულების დადგენა შეუძლებელია – 300 ლარს;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი